



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და
საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
ეთიკის კომისია

სტუდენტის გზამკვლევი

*სტუ- ასოცირებული პროფესორი
თეიმურაზ ბეჟომცილი*

ქ. თბილისი, 2020 წ.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ეთიკის კომისია

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „ფაკულტეტზე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით იქმნება კომისიები- ფაკულტეტის ეთიკის კომისია რომელსაც ქმნის ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის ეთიკის კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით“.

ფაკულტეტის ეთიკის კომისია ფაკულტეტის
საბჭოს მიერ არჩეულია 2017 წლის 2
ნოემბრის გადაწყვეტილებით

ფაკულტეტის ეთიკის კომისიის შემადგენლობა

თეიმურაზ ბეჟოშვილი - სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
(კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის წევრები:

ჰენრი კუპრაშვილი - პროფესორი

გიორგი გორაძე - ასოცირებული პროფესორი

მიხეილ მამნიაშვილი - პროფესორი

მანანა დარჩაშვილი - პროფესორი (კომისიის მდივანი)

მალხაზ ჩიტაია - ასოცირებული პროფესორი

თომა ხაბეიშვილი - სტუდენტი (თვითმმართველობის თავმჯდომარე)



ეთიკის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იყენებს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს



1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება „სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“;
2. სსიპ- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესი“, დამტკიცებულია სტუ-წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბერს №59 სხდომის №1 დადგენილებით;
3. სსიპ- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი“, დამტკიცებულია სტუ-წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 15 ოქტომბრის №62 სხდომის №1 დადგენილებით ;
4. სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დებულება;

რა შემთხვევებში ვარლვევ
უნივერსიტეტის
შინაგანაწესსა და ეთიკის
კოდექსს?



რა სახის დისციპლინური სახდელები შეიძლება
დამეკისროს და როგორ ავიცილო შესაძლო
დისციპლინური პასუხისმგებლობა?





დისციპლინური წარმოება, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები



დისციპლინური წარმოებისა და პასუხისმგებლობის ნორმები განსაზღვრავს პერსონალისა და სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელების სახეებს, დისციპლინური დევნის დაწყების, დისციპლინური წარმოების განხორციელებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს

დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- ა) მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;
- ბ) უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა/დარღვევა;
- გ) უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევა;
- დ) ნებისმიერი ქმედება/უმოქმედობა, რომელიც შეიძლება ფორმალურად არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევებს, მაგრამ ლახავდეს უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას.

დისციპლინური სახდელის სახეები

აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის, მოწვეული სპეციალისტის, ემირიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირისთვის

- ა) შენიშვნა;
- ბ) საყვედური;
- გ) 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;
- დ) მკაცრი საყვედური;
- ე) ემირიტუსის აკადემიური წოდების ჩამორთმევა



ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის

- ა) შენიშვნა;
- ბ) საყვედური;
- გ) მკაცრი საყვედური;
- დ) დაბალ ანაზღაურებაზე გადაყვანა (3-დან 6 თვემდე ვადით);
- ე) სამსახურიდან დათხოვნა



სტუდენტისთვის

- ა) შენიშვნა;
- ბ) საყვედური;
- დ) მკაცრი საყვედური;
- ე) სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტა



დისციპლინური სახდელები და მათი მოქმედების ვადები

თუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში პირი არ ჩაიდენს ახალ დისციპლინურ დარღვევას:

შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 (სამი) თვის შემდეგ

საყვედური - 6 (ექვსი) თვის შემდეგ

10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება - 9 (ცხრა) თვის შემდეგ

მკაცრი საყვედური - 1 (ერთი) წლის შემდეგ

დაბალ ანაზღაურებაზე გადაყვანა ამ სახდელის ვადის გასვლიდან - 1 (ერთი) წლის შემდეგ

სახდელები:

შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური და დაბალ ანაზღაურებაზე გადაყვანა მოქმედებს გარკვეული დროით და მათ ამოწურვამდე დისციპლინური დამრღვევი ითვლება დისციპლინურ სახდელშეფარდებულად!



დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანო

უნივერსიტეტის შესაბამისი
ფაკულტეტის ეთიკის
კომისია

აკადემიური, სამეცნიერო და
მასწავლებელთა პერსონალის, მოწვეული
სპეციალისტის, ემირიტუსის აკადემიური
წოდების მქონე პირისთვის

ადმინისტრაციული და დამხმარე
პერსონალისათვის



ფაკულტეტის საბჭო

სტუდენტისთვის



ფაკულტეტის ეთიკის კომისია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
„ეთიკის კოდექსით“ დადგენილი წესით ახორციელებს დისციპლინურ
წარმოებას, რომელიც მოიცავს:

განცხადება/საჩივრის
მიღებას



საქმის არსებით
განხილვას



გადაწყვეტილების
მიღებას



დისციპლინური ორგანოს - ეთიკის კომისის სხდომები წარიმართება დახურულ
რეჟიმში

დისციპლინური წარმოების ვადები

ეთიკის კომისია ვალდებულია განცხადების/საჩივრის მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განიხილოს და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება

ეთიკის კომისია 5 (ხუთი) დღის განმავლობაში განიხილავს განცხადება/საჩივრის დასაშვებობის საკითხს

ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარეს უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში

პერსონალს/სტუდენტს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 2 (ორი) წელი, ან/და დისციპლინური დევნის დაწყებიდან 3(სამი) თვის ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება

ეთიკის კომისია უფლებამოსილია საქმის არსებითი შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით, მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე დისციპლინური წარმოება შეაჩეროს არაუმეტეს 2 (ორი) თვით

დისციპლინური საქმის განხილვის საერთო ვადა განცხადების/საჩივრის მიღებიდან არ უნდა აღემატებოდეს 3 (სამ) თვეს

ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და კომისიის საქმიანობაში ჩაურევლობა და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება



დაუშვებელია კომისიის საქმიანობაში ჩარევა



დისციპლინური ორგანოს- ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება პირზე გადაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში

დისციპლინური ორგანოს- ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა და მასზე აღსრულების პასუხისმგებლობა ეკისრება: რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ხოლო სტუდენტის შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ვალდებულია მიღებული გადაწყვეტილება აღსრულოს მისი ძალაში შეცვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში



სტუდენტს ეკრძალება:

უნივერსიტეტის შენობაში



სასწავლო-სამეცნიერო
ლაბორატორიასა და აუდიტორიაში

